საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

დადგენილება №745

1991 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 აგვისტოს № 615 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**
შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 აგვისტოს № 615 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

1. დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 170 კაცით 2091,5 ათასი მანეთის წლიური შესანახი ხარჯებით, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი 949,5 ათასი მანეთით (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე)“.

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ნუსხაში ნაცვლად სახელწოდებისა „საქადგილმეურნვაჭრობა“ ჩაიწეროს „საქადგილწარმმომარაგება“.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**